ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

18 (10056) 12 maisi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ოზურგეთში 9 მაისი აღინიშნა

გაზეთი „ალიონი“

ამ დღეს, ტრადიციულად ქ. ოზურგეთის ცენტრში, საბრძოლო დიდების ობელისკთან მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები. ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ყვავილების გვირგვინით შეამკეს მემორიალი.

გამარჯვების დღე ომის ვეტერანებს გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძემ მიულოცეს.

გურიის გუბერნატორმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „მთელი მსოფლიო აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავს. ჩვენ მოვედით, რათა მივულოცოთ იმ ადამიანებს დღევანდელი დღე, რომელთა უშუალო მონაწილეობით იქნა მიღწეული ეს გამარჯვება. მათი რაოდენობა ყოველწლიურად კლებულობს და ჩავენი ვალია მათ სათანადო პატივი მივაგოთ.“

შემდეგ ომის ვეტერანების საპატივცემულოდ, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მხატვრულმა კოლექტივებმა კონცერტი გამართეს. გაიმართა სადღესასწაულო სადილი.

ოზურგეთში მცხოვრებმა ომის 63 ვეტერანმა ცენტრალური ბიუჯეტიდან 400, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 50 ლარი მიიღეს.

საარჩევნო მარათონი ძალას იკრებს

ოზურგეთში საარჩევნო მარათონი ძალაში შევიდა. ამომრჩევლის მთავარი ყურადღების ცენტრში მუნიციპალიტეტის გამგებლის და ქ. ოზურგეთის მერის არჩევნებია.

10 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქ. ოზურგეთში, კინოთეატრის წინ, „ჭადრების ბაღში“, ოზურგეთელ ამომრჩევლებს უნდა შეხვედროდა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი უამინდობის გამო გადაიდო, თუმცა გავრცელდა ვერსია, რომ გამგებლის პოსტზე ასარჩევი კანდიდატურის გამო მოხდა, ვინაობა ჯერ შეთანხმებული არ არის და შეხვედრა ამის გამო გადაიდო. ჩვენი ინფორმაციით, ეს თემა გარკვეულია და გამგებლობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ ყოველგვარი პიარ-კამპანიის გარეშე ესწრება სხვადასხვა ღონისძიებას,.. მერაბ ჭანუყვაძეს არც თუ ისე რთული არჩევნები ექნება და სავარაუდოდ პირველსავე ტურში მიიღებს ხმების საჭირო ოდენობას.

რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, აქ დიდი მარათონია მოსალოდნელი: ბეგი სიორიძე „ქართული ოცნებიდან, შოთა გოგიბერიძე „პატრიოტთა ალიანსიდან“, კახა ჩავლეიშვილი „ბურჯანაძე-დემოკრატებისაგან“ და ვანო ტაბატაძე „საქართველოს გზიდან“, ლევან გოგუაძე „ნაციონალური მოძრაობიდან“ მაგარ ბრძოლას გამართავენ. მე თავს შევიკავებ მათ მიერ მისაღებ ხმების რაოდენობის დასახელებიდან, მაგრამ გამარჯვებულის გამოსავლენად არჩევნების მეორე ტურზე საუბრობენ.. ასე, რომ ქ. ოზურგეთის მერის არჩევნები ამომრჩევლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის მთავარი ყურადღების ცენტრში იქნება. მთავარია კანდიდატები, თუ როგორ წარმართავენ წინასაარჩევნო პიარ-კამპანიას, როგორ დაარწმუნებენ ამომრჩევლებს თავიანთი პროგრამების და პერსონების უპირატესობაში.

რაც შეეხება ქ. ოზურგეთის საკრებულოს წევრების არჩევნებს, აქაც ძლიერი კონკურენციაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარტიების უმეტესობას არაერთი უკეთესი კანდიდატი შეეძლო დაესახელებინა ამ არჩევნებში.

სოფლებში მაჟორიტარებს შორის მეტ-ნაკლებად იქნება კონკურენცია, რამდენიმე სოფელში „ქართულ ოცნების“ მხარდამჭერი რამდენიმე კანდიდატი იყრის კენჭს. ძლიერი კანდიდატები ჰყავთ რიგ სოფლებში სხვა პარტიებასაც. ეს მომავალ საკრებულოში დემოკრატიული პროცესების უკეთ წარმართვას შეუწყობს ხელს.

8 მაისი, 2014 წ.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

„მართვის სწორი მენეჯმენტით შევძლებთ აღარ არსებობდეს ოზურგეთში უმუშევრობა“

ნუგზარ ასათიანი

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ მიერ ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად ბიზნესმენი ბეგლარ სიორიძე დასახელდა, გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

—თქვენ საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი ხართ, რამ გადაგაწყვეტინათ კენჭი იყაროთ ქალაქის მერის თანამდებობაზე?

— ჩემთვის არანაირი სხვა ინტერესი, არ არსებობს გარდა იმისა, რომ მინდა ჩემი გამოცდილება, დიდი მონდომება, კავშირები, ჩემი ქალაქისადმი დიდი სიყვარული - ყველაფერი ერთად მოვახმარო იმას, რომ ოზურგეთი სულ სხვა ქალაქი გახდეს.. სამწუხაროდ დღემდე ვერ დავინახე ისეთი ადამიანი, რომელიც მიხედავდა ჩვენს ქალაქს. შესაძლოა არ ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება, ან არ არსებობდა ამისი კეთილი ნება.

— მერად არჩევის შემთხვევაში გარკვეულწილად ჩაერთვებით პოლიტიკურ პროცესებში, ეს ხელს არ შეგიშლით თქვენი ბიზნესის მართვაში?

— ეს პოლიტიკურზე მეტად მენეჯერის პოზიციაა. არც ერთ ბიზნესში დირექტორი არ გახლავარ. უკვე რამდენიმე წელია ჩემს ბიზნესს სხვა დირექტორები მართავენ. მაგრამ ხშირ შემთხვევაში მე მათ ვედექი გვერდით. მერად არჩევის შემთხვევაში, მათ მოუწევთ საქმიანობა ჩემი გვერდით დგომის გარეშე. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არ გაუჭირდებათ, რადგან ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს მათი საქმიანობის სფეროში.

— საუბრობენ თქვენგან ნაციონალური ხელისუფლების მხარდაჭერაზე.

— ყველაზე მეტად გულს მტკენს ის, რომ ადამიანებმა ერთმანეთის სითბო და სიყვარული დაკარგეს. სამწუხაროა, მაგრამ გარკვეული პიროვნებები, ან პიროვნებათა ჯგუფები ყველაფერს აკეთებენ თავიანთი ბინძური პოლიტიკა გაატარონ და დაკავებული არიან იმითი, რომ ადამიანებს რაიმე მოუგონონ, განსაკუთრებით მათ, ვინც რაიმეს მიაღწია. რას ვიზამთ, ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. რაც შეეხება იმას, რამდენად ვიყავი დაახლოებული ნაციონალებთან, თუ სხვა რომელიმე პარტიასთან გეტყვით, რომ 1990-იანი წლიდან მოყოლებული დღემდე დაკავებული ვიყავი ჩემი ბიზნესით და არც ერთი პარტიის, ან პოლიტიკური გაერთიანების წევრი არ ვყოფილვარ. ყველა ხელისუფლების დროს ჩემი საქმე იყო ბიზნესი.

— თხილის ფასს მსოფლიო ბაზარი არეგულირებს. თუმცა მოსახლეობის ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს. ისინი თხილის ფასის მატება-კლებისას თქვენს გვარს ასახელებენ და ასახალებენ დღესაც.

— სამწუხარო ფაქტია, რომ არც ჟურნალისტები ინტერესდებით სინამდვილეში რა ხდება თხილის ბიზნესში. აქაც გარკვეული პიროვნებები მანიპულირებენ ჩვენს მოსახლეობაზე და შეცდომაში შეჰყავთ ისინი. საბედნიეროდ მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ მოსაზრებებს არ იზიარებს. ცალკე თემაა ის, რომ თქვენთან ერთად უნდა მოხდეს ამ საკითხზე მეტად მუშაობა და ეს უნდა გავაკეთოთ. რაც შეეხება ფასის მატება-კლებას, ამას ვერც ბეგი სიორიძე და ვერც ერთი ბიზნესმენი ან პოლიტიკური მოღვაწე, რაც არ უნდა დიდი თანამდებობა ეკავოს მას, ვერ მოახერხებს, რადგან თხილის ფასს თურქეთი არეგულირებს. გაზაფხულზე თურქეთში მოსულმა თოვლმა თხილის ნარგავები მოყინა და შესაბამისად მოხდა ფასების მატება. ჩვენი კომპანია ადგილობრივი ნედლეულის მხოლოს 5-6% ყიდულობს, მაქსიმუმ 1000 ტონას. ოდნავ გათვითცნობიერებული ადამიანიც კი მიხვდება, რომ ასეთ პირობებში მონოპოლიის დაწესება შეუძლებელია, რომც მოინდომო. სამწუხაროდ იმით არავინ ინტერესდება, სად მიდის დანარჩენი 95 % ნედლეული ჩვენი მუნიციპალიტეტიდან და შედის თუ არა შესაბამისი თანხები ბიუჯეტში.

— თქვენ ძლიერი კონკურენტები გყავთ, ელოდებით თუ არა არჩევნებში მეორე ტურს?

— მეუხერხულება საკუთარ თავზე ვისაუბრო, მაგრამ დავსვათ კითხვა, რითი განსხვავდება ბეგი სიორიძის ბეგრაუნდი სხვებისგან. უფალმა იცის რა გამიკეთებია ოზურგეთისთვის. ფაქტიურად ნანგრევებიდან თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი წარმოება აღვადგინე და 200-ზე მეტი ადამიანი დავასაქმე. ერთიან ბიზნესში 300-მდე ადამიანი მყავს დასაქმებული. თავად ჩემს მიერ გაკეთებული საქმეები და ის ოზურგეთლები, რომლებიც მხვდებიან და მხარდაჭერას მიცხადებენ, მაძლევს იმის უფლებას, ვიფიქრო, მეორე ტური არ ჩატარდება და პირველსავე ტურში გავიმარჯვებ.

—თქვენ მეგობრობთ ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრთან და ეხმარებით მათ. თუმცა ბევრი ასეთი ადამიანია ოზურგეთის სინამდვილეში, ფიქრობთ თუ არა მათ გვერდით დგომასაც.

— მართალია ვეხმარები არა მხოლოდ სარეაბილიტაციო ცენტრს, სხვებსაც, მაგრამ აუცილებელია ამ ადამიანთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომ ყველა გვყავდეს განსაკუთრებულ აღრიცხვაზე, რათა სათანადო ყურადღება მივაქციოთ მათ.

— უნდა ველოდოთ თუ არა თქვენი, უკვე ყოფილი ბიზნესის გაფართოებას.

— სამწუხაროდ ვეღარ მივიღებ ბიზნესის მართვაში მონაწილეობას, მაგრამ ის დირექტორები, რომლებიც ბიზნესს მართავენ, ვფიქრობ, კვლავ კარგად გააგრძელებენ მართვას. . იმედი მაქვს იმ საქმეს, რომელიც ერთად გვქონდა ჩაფიქრებული ბოლომდე მიიყვანს ბატონი ლევან მარგალიტაძე თავის ჯგუფთან ერთად, იგი თხილის საექსპორტო კომპანიის დირექტორი გახლავთ. ანუ ამ ეტაპისთვის გაფართოვდეს თხილის წარმოება და გაიხსნას თხილის ზეთის სახდელი საამქრო,

— რითი განსხვავდება თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა სხვებისგან, რას ჰპირდებით ოზურგეთლებს?

— პირველ რიგში ოზურგეთლები ნახავენ ადამიანს, რომელიც არც ერთ თეთრს არ წაართმევს ქალაქის ბიუჯეტს და თავდაუზოგავად იზრუნებს იმაზე, როგორ მოახმაროს ეს თანხა თავისი ქალაქის კეთილდღეობას. **აუცილებელია მართვის სწორი მენეჯმენტი, ასევე ინვესტიციები. ქალაქის სწორი სამეურნეო საქმიანობით შევძლებთ აღარ არსებობდეს ოზურგეთში უმუშევრობა, რაც ასე ძალიან გვაწუხებს. ყველაფერი ეს ერთად აღებული გამოიღებს იმ შედეგს, რასაც ჩვენი ოზურგეთი ჰქვია და ამას მოკლე პერიოდში ყველა დავინახავთ.**

7 დღის ამინდის პროგნოზი

12 მაისი	13 მაისი	14 მაისი	15 მაისი	16 მაისი	17 მაისი	18 მაისი
ღრუბელი +16+22	წვიმა +15+19	წვიმა +16+18	მზე, +20+26	მზე, +20+29	მზე +19+25	ღრუბელი +13+21
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქ. ოზურგეთის მერობის, გამგებლობის, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინეს

გაზეთი „ალიონი“

11 მაისს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციამ სახელმწიფო თეატრში ქ. ოზურგეთის მერობის, გამგებლობის, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

წარდგინების დაწყებამდე ჩვენ პარტიის ხელმძღვანელს მიხეილ გოგოტიშვილს შევხვდით.

–დღეს ოზურგეთის თეატრში წარდგინებას პარტიის ლიდერები გიორგი ვაშაძე, გიორგი ბარამიძე და გიგი წერეთელი დაესწრებიან. ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად ექიმ ლევან გოგუაძეს წარვადგენთ, გამგებლობის კანდიდატად– შალვა თავდიშვილს.

ქ. ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატებად წარვადგენთ: ირინა საჯაიას, ოთარ რევიშვილს, ილია მალაზონიას, ნათია თოხაძეს, ხათუნა თავდიშვილს, ვასილ ჩხაიძეს.

სოფლებში წარვადგენთ: ჭანიეთში –დავით მჟავანაძეს, ლიხაურში –ნანა ცეცხლაძეს, მაკვანეთში – გერმანე თოიძეს, შემოქმედში – გიორგი შილაკაძეს, ბოხვაურში პეტრე გოგოტიშვილს, დვაბზუში – თინათინ ღლონტს, ურეკში – ნუგზარ დვალიშვილს, ნასაკირალში ბესო ქათამაძეს, ნარუჯაში – გულადი შაინიძეს, მთისპირში ავთანდილ ნემსაძეს. და სხვებს.

ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წელი

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის დარბაზში ამავე ორგანიზაციასთან არსებული გენდერული თანასწორობის სამოქალაქო კლუბის მიერ ორგანიზებულ ფაშიზმზე გამარჯვების 69-წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, ომის იმ სირთულეებზე ისაუბრეს, რაც სხვებთან ერთად თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას. ისაუბრეს ომის მონაწილეებსა თუ, სახლებში დარჩენილთა უდიდეს შრომასა და ღვაწლზე. წარმოადგინეს მეტყველების თეატრის თამარ დუმბაძის მიერ გადაღებული ფილმი ომის ვეტერან ჟუჟუნა ბაბილოძეზე, რომელიც გასულ ზამთარს ტრაგიკულად აღესრულა. კლუბის წევრებმა ციცი კუპრაძემ, იმედო მარტიკოვმა, ქეთევან ქადიეშვილმა საკუთარი ოჯახის წევრები გაიხსენეს. სიტყვებით გამოვიდნენ მუზეუმის ფონდების მცველი მანანა ლომაძე, გურიის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი, გურიის გუბერნატორის პირველი მოადგილე მერაბ ჭანუყვაძე.

აღინიშნა, რომ არა მხოლოდ II მსოფლიო, ასევე აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოს ომის ვეტერანებს მეტი ყურადღება სჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან. ასევე ისაუბრეს II მსოფლიო ომის გმირებზე, რომელთა ბიუსტები განუკითხაობის პერიოდში ზოგი მოიპარეს, ზოგიც ოზურგეთის სახელმწიფო მუზეუმმა შეიფარა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ომში დაღუპულთა მემორიალი უნდა კეთილმოეწყოს ამჟამინდელ გმირთა მოედნის ტერიტორიაზე, რაშიც მათ მერაბ ჭანუყვაძე დახმარებას შეჰპირდა.

ღონისძიებას უძღვებოდნენ ქეთევან ქადიეშვილი და მარეხ გობრონიძე.

„იცოდე დანიშნულება“

8 მაისს, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან არსებულმა ახალგაზრდული ცენტრის წევრებმა საგზაო უსაფრთხოების შესახებ აქცია მოაწყვეს.

აქციის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღება გაემახვილებინათ მოუწესრიგებელ საგზაო ნიშნებზე.

აქციის ფარგლებში, ახალგაზრდებმა „ზებრის“ მიმანიშნებელი წარწერები გაუკეთეს ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გადასასვლელებს.

როგორც გამვლელები აღნიშნავდნენ, არსებულ პირობებში დარღვეულია ფეხითმოსიარულეთა უფლებები, მათ დაახლობით 15 წუთი უწევთ ლოდინი, რათა რომელიმე მანქანამ გზა დაუთმოს, ამიტომ ხშირად იძულებულები არიან დაარღვიონ უსაფრთხოების წესები.

აქცია ახალგაზრდული ცენტრის „საგზაო უსაფრთხოების კამპანიის“ ფარგლებში ჩატარდა და მომავალშიც იგეგმება მსგავსი ტიპის საინფორმაციო პერფორმანსები.

ოზურგეთის ახალგაზრდული ცენტრი „სამოქალაქო აქტივიზმის ახალგაზრდული ქსელის“ წევრია და მოქმედებს პროგრამის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია და დაფინანსებულია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ.

წინასაარჩევნო მონიტორინგი

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ოზურგეთის ოფისი, გურიის რეგიონის მასშტაბით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე წინასაარჩევნო მონიტორინგს ახორციელებს.

როგორც საიას ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ ჟურნალისტებთან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, მათი დაკვირვების მიზანია სამართლიანი და გამჭირვალე პროცესის ხელშეწყობა, საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში.

ასევე–დარღვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება აღნიშნულ დარღვევებზე.

საიას თქმით, ისინი მედიასათან, პოლიტიკურ სუბიექტებთან თანამშრომლობის გზით აპირებენ უზრუნველყონ სამართლიანი, თანასწორი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა

მარი კოკოევი

გასულ კვირას გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა პირობითმსავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროექტის შედეგების შემაჯამებელი ღონისძიება

პროექტის-„ პირობითმსჯავრდებული ახალგაზრდებისა და არასრულწლოვნების რეინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა გურიის რეგიონში" განხოციელება 2012 წლის 3 ნოემბერს დაიწყო და 2014 წლის 2 აპრილამდე გაგრძელდა. მას გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ახორციელებდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირთან პარტნიორობით. ის მიზნად ისახავდა საქართველოში მიმდინარე დემიკრატიული რეფორმების განხორციელებისა და პირობითმსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

პროექტი, რომელშიც 100-მდე პირობითმსჯავრდებული ჩაერთო რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა. ეს იყო: მიკრო ბიზნესის ხელშეწყობა, პროფესიული გადამზადება და დასაქმება, ფსიქო სოციალური რეაბილიტაცია, სოციალური მარკეტინგი და სექტორთა შორის თანამშრომლობა.

შემაჯამებელი ღონისძიება აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში მიღებული კონკრეტული შედეგების გაცნობას ითვალისწინებდა დამსწრე საზოგადოებისათვის.

შეხვედრაზე ითქვა რომ მსგავსი მიმართულების პროექტი გურიაში პირველად განხორციელდა

დაჯილდოვდნენ სკოლები პირობითმსჯავრდებულთა ცხოვრებაზე მომზადებული საუკეთესო დოკუმენტური ფილმებისთვის, პირველი ადგილი მეორე საჯარო სკოლას ერგო. მეორე ადგილი გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლას. ხოლო მესამე-მესამე საჯარო სკოლას.

ასევე დაჯილდოვდნენ გაზეთები „ალიონი" „ გურიის მოამბე" და „გურია ნიუსი" აღნიშნულ თემაზე მომზადებული სტატიებისთვის.

მადლობა გამგებელს კონსტანტინე შარაშენიძეს

გვინდა სამადლობელი წერილით ოზურგეთის გამგებელს ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს, რომელმაც აუხდინა ნატვრა სოფ. დვაბზუს მცხოვრებლებს და დაიწყო მდ. ნატანებზე საოცნებო ხიდის მშენებლობა. როგორც მშენებლები გვაიმედებენ, სტიქია ხიდს ვერაფერს დააკლებს, როგორც წინამორბედ ხიდებს, რომლებიც პრიმიტიულად კეთდებოდა მდინარე ნატანებზე.

ამ საოცნებო ხიდის დასრულებას ელოდება არა მარტო დვაბზუელები, რომლებსაც ე.წ. „თავკობულის“უბანზე გააჩნიათ ძირითადი სახნავ-სათესი სავარგულები, ასევე ამ უბანზე მაცხოვრებელი დვაბზუელები, რომლებიც მოწყვეტილი არიან სოფლის ცენტრს, საექიმო უბანს და სკოლას,

ეს ხიდი იქნება დამაკავშირებელი მეზობელ სოფლებთან: ცხემლისხიდი, ბაღდადი, ბახვი, გაღმა დვაბზუ.

მადლობას გამოვთქვამთ სოფლის გამრიცხველიანების გამო და როგორც გვპირდებიან, სოფელს უახლოეს დროში ექნება ბუნებრივი აირი, რომელიც იქნება კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ დღევანდელი მთავრობა ზრუნავს ხალხზე.

მზია დათუნაიშვილი, გიორგი მახარაძე, თენგიზ დათუნაიშვილი, ჭოლა შათირიშვილი, გოდერძი ჟვანია, თენგიზ ოთხმეზური, დარეჯან ოთხმეზური

ოზურგეთის მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი ექსპლოატაციაშია

8 მაისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შ.პ.ს. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" დირექტორს, გიორგი შუხოშვილს შეხვდნენ.

ექსპლოატაციაში შევიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეაბილიტირებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების სანიტარიული ნაგავსაყრელი.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის" საკუთრებაში 2013 წელს გადავიდა. პოლიგონის კეთილმოწყობის პროექტის ფარგლებში, ჩატარდა რიგი სამუშაოები: ნაგავსაყრელის ტერიტორია შემოიღობა, მასზე განთავსდა სადარაჯო ჯიხური, დამონტაჟდა სახანძრო სტენდი, ნაგავსაყრელის მაჩვენებელი რენდერი და ამკრძალავი ნიშანი; ასევე ადგილზე დამონტაჟდა 60-ტონიანი სამანქანე სასწორი; მოხდა ტერიტორიის ელექტროფიცირება; მოეწყო მანქანა-მექანიზმების ფარდული. გარდა ამისა, პოლიგონზე განთავსდა თიხოვანი გრუნტის მარაგი, რომლითაც შეტანილი ნარჩენები გადაიფარება. გადანაყარი და საიზოლაციო ფენა, ბულდოზერის მეშვეობით, პერმანენტულად შემკვრივდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ჯანდაცვისა და გერომოს დაცვის თვალსაზრისით, განთავსდება უსაფრთხოდ. ნაგავსაყრელის შემდგომი ექსპლუატაცია ხელს შეუწყობს გარემოს დაბინძურებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების პრევენციას.

იური სიორიძის მემორიალური ტურნირი

ოზურგეთის სპორტის სასახლეში ცნობილი სპორტსმენის, ოზურგეთის პოლიციის ყოფილი უფროსის, გურიის ჭიდაობის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის იური სიორიძის მორიგი მემორიალური ტურნირი გაიმართა.



იური სიორიძე დამოუკიდებელი საქართველოს ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა ნაკრების პირველი ოფიციალური ტურნირების ხელმძღვანელი იყო თურქეთში, ირანში და მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა მოჭიდავეებმა პირველ დიდ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო არენაზე. 1993 წელს ქართველი მოჭიდავეები მისი ხელმძღვანელობით გერმანიაში უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ 1992 წლის 30 დეკემბერს ბანდიტებთან ბრძოლაში იგი ტრაგიკულად დაიღუპა.

1996 წლიდან ტარდებოდა მისი სახელობის ტურნირი ოზურგეთში, სპორტულ კლუბ „ფალავანში," სადაც საქართველოს

საუკეთესო ათლეტები იღებდნენ მონაწილეობას. ამ ტურნირის დაფუძნებაში დიდი წვლილი აქვთ ცნობილ მწვრთნელებს ძმებს ზურაბიანებს. ტურნირს ესწრებოდნენ ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონები. მთავარი ის იყო, რომ ამ ტურნირში გამარჯვებულმა ბევრმა სპორტსმენმა, დიდ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო არენაზე.

ბოლო წლებში, გარკვეული მიზეზების გამო ტურნირი არ ჩატარებულა.

ამჯერად ტურნირში მონაწილეობდნენ 80-მდე საუკეთესო ახალგაზრდა მოჭიდავე თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, წყალტუბოდან, სენაკიდან, გარდაბნიდან, ხულოდან, ლანჩხუთიდან, ოზურგეთიდან.

ტურნირის საზეიმო გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: იური სიორიძის შვილი ზაზა სიორიძე, გურიის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზვიად უნგიაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაია თანდილაშვილი.

ცნობილმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „გურიამ"(კობა დუნდუა) და ანსამბლმა „ვახტანგური"(მამუკა რუსიძე) საუკეთესო ნომრები შეასრულეს.

ტურნირი მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ შესაბამისი სინჯის მედლები, დიპლომები და თასები ხოლო სამუკა დარჩიას პლაზმური ტელევიზორი (ამ წონაში გამოდიოდა იური სიორიძე საქართველოს ნაკრებში).

გურიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ლომაძემ სამხსოვრო დიპლომები გადასცა ზაზა სიორიძეს, გურიის გუბერნატორს გიორგი ჩხაიძეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძეს და გამგებელს კონსტანტინე შარაშენიძეს.

მყურებელი ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენების არაერთი საინტერესო ბრძოლის მოწმეები გახდნენ.

გამარჯვებულთა და პრიზიორთა სია:

50 კგ.
1. გიორგი ჩხაიძე (ოზურგეთი);
2. რევაზ ბორჩხაძე (ოზურგეთი);
3. თორნიკე ბერიძე, ირაკლი აბულაძე (ბათუმი).

55 კგ.
1. ბექა ბალანჩივაძე (წყალტუბო);
2. კახა ირემაძე (ბათუმი);
3. თემურ შავაძე (ბათუმი);
   რომან ლომინაძე (ოზურგეთი).

60 კგ.
1. იური ლომაძე (ოზურგეთი);
2. გიორგი გუჯაბიძე (ოზურგეთი);
3. გიორგი მამნიაშვილი (ნორიო);
   დათო ჩხარტიშვილი (ოზურგეთი).

66 კგ.
1. გიორგი ხუჭუა (ოზურგეთი);
2. ერნარ შავაძე (ბათუმი);
3. აკაკი ჩანჩიბაძე (ოზურგეთი);
   ლადო შავაძე (ბათუმი).

74 კგ.
1. ბაკურ გოგოლი (სენაკი);
2. რუსიეშვილი თორნიკე (ოზურგეთი);
3. რამაზ კვეტენაძე (ქუთაისი);
   მინდია ბოლქვაძე (ბათუმი).

84 კგ.
1. იოანა ფირცხალავა (წყალტუბო);
2. გიორგი დარჩია (ოზურგეთი):
3. ალექსი ლოდია (ოზურგეთი),
   კონსტანტინე ბარბაქაძე (სართიჭალა).

96 კგ.
1. გიორგი მდინარაძე (ოზურგეთი);
2. გიორგი მარშანია (თბილისი);
3. ამირან გულბათაშვილი (თბილისი);
   რაულ დევიძე (ბათუმი).

120 კგ.
1. სამუკა დარჩია (ოზურგეთი);
2. საბა ცეცხლაძე (ოზურგეთი);
3. ოთარ ლოლაძე (ქუთაისი);
   რობიზონ ესაძე (ქუთაისი).

ქალაქში გამწვანებისა და დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს

ქალაქ ოზურგეთში გამწვანებისა და დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კონსტანტინე შარაშენიძის ინიციატივით, დასუფთავების სამსახური სპეციალური აპარატებით აღიჭურვა, რომლითაც ქალაქში აღნიშნული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

9 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს

ქალაქ ოზურგეთში 9 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაობი აქტიურად მიმდინარეობს. საბავშვო ბაღი კაპიტალურად გარემონტდა და ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვა. გარდა ამისა, ქალაქ ოზურგეთში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კიდევ ორი- 1 და 7-ე საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა.

მე-9 საბავშვო ბაღი უახლოეს დღეებში გაიხსნება, რომელიც 220 აღსაზრდელს მიიღებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კონსტანტინე შარაშენიძემ აღნიშნული სამუშაოები დაათვალიერა.

„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა"

„ღმერთმა კაცი ისეთი გააჩინა, რომ ღრუბლებიდან მზის ერთმა გამოჭიატებამაც კი შეიძლება დიდი იმედი ჩაუსახოს გულში, ქუჩაში ერთი ორსული გოგოს დანახვამაც კი მომავლის იმედით აღავსოს.

ადამიანს სულ ცოტა სჭირდება, სულ მცირე რამ ჰყოფნის და დღენიადაგ იმ მცირედის მოლოდინშია.

ეს ჩვენი საბრალო ქვეყანა, რა ხანია, მოდის და მოსტირის თავის წუთისოფელს. ვინ იცის, ამ ხნის მანძილზე რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენმა გადაიქუხა, რამდენი თაობა ჩაეფარა მიწას და მომავლის იმედიც თან ჩაიყოლა.

ახლა ჩვენი ჯერი დამდგარა, ახლა ჩვენ ველოდებით ნიშანს სამშობლოს ფერიცვალებისას. მარადიულია ეს ლოდინი, მაგრამ მაინც ძალის მომცემი, გამამხნევებელი. სწორედ ის არის ქვეყნის მომავლის, მისი სიცოცხლის დამადასტურებელი, თორემ უიმედო ერი კვდება..."

იმედით სავსე, გამახნევებელი და სასიცოცხლო ძალის მომცემი იყო ეს ღონისძიება, რომელიც ნასაკირალის საჯარო სკოლაში ჩატარდა (დირექტორი მ. ვასაძე).

„მარად და ყველგან, საქართველოვ, ჩვენ ვართ შენთანა!..." ამ სტროფებით დაიწყო VIII კლასის მასწავლებელმა, მაისის მზის სითბოთი გაჯერებულ დღეს ღონისძიება. (მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი თამარ პატიეშვილი). იგი სამშობლოს სიყვარულს ეძღვნებოდა. მოსწავლეთა გულიდან მოდიოდა ყოველი სიტყვა. „მე ღვთის მადლობელი ვარ, რომ ქართველად დავიბადე"...ამაყად ამბობდა თვალებმერცხალა ჭაბუკი. „ თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს –ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმაში უკანასკნელი საქართველო არ არის.." .ყოველივე ეს ცხადად ჰქონდათ გაცნობიერებული მოსწავლეებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ, სკოლის დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები, უფროსკლასელები. შესრულდა ქართული ხალხური ცეკვები. მოსწავლეებმა შეკრებილ საზოგადოებას სიმღერით შეახსენეს, ქართველთა სულიერი მამის სიტყვები: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არ გწყალობს, მომავალი ჩვენია."

ღმერთო, არასდროს მოუშალოთ იმედი მოავალი თაობისა სამშობლოს!

თამთა ღლონტი,
ნასაკირალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ანტონ გოგიაშვილი



ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფოტო-ფონდში დაცულია ანტონ გოგიაშვილის ჩანახატების ფოტორეპროდუქციები.ქართული გრაფიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ანტონ გოგიაშვილი (გოგეშვილი), დაიბადა 1878 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩოლაბარგში (ახ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) გლეხის ოჯახში. ოჯახი დიდ სიღუხჭირეში ცხოვრობდა, მიუხედავად ამისა, მისი განსაკუთრებული ნიჭისა და შრომის წყალობით, შესძლო წარმატებული კვალი დაეტოვებინა ქართულ ფერწერაში, იგი სრულიად ახალგაზრდა გადავიდა თბილისში საცხოვრებლად. დაამთავრა სასაულიერო სასწავლებელი, შემდეგ დაიწყო მისთვის საყვარელი საქმე- მხატვრობა. სოფელში გაზრდილი ბიჭი კარგად იცნობდა გურული გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრებას, საქართველოს ბუნებას, ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აკეთებდა ჩანახატებს, რომელშიც მკაფიოდ და სიზუსტით ასახავდა მხარის მცხოვრებთა ყოფის და ბუნების განუმეორებელ თავისებურებებს.მის შემოქმედებაში ყველაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი გურიის ყოფის ამსახველი მასალების სერიას " გურიის ცხოვრებიდან".

1896 წელს ანტონ გოგიაშვილმა დაასურათა ვაჟაფშაველას „ბახტრიონი", როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, მხატვარმა შესძლო შესატყვისი ილუსტრაციებით ხელი შეეწყო პოეტის ფიქრებისა და აზრების, მის გმირთა სახეების უფრო მკვეთრად წარმოჩენას.

ილია ჭავჭავაძის პოემის „განდეგილის", რაფიელ ერისთავის ლექსებისა და სხვა ნაწარმოებთა ილუსტრაციებმა გოგიაშვილს სახელი გაუთქვა როგორც ფაქიზ ლირიულ განცდათა გამოხატვის შესანიშნავ ოსტატს.

ანტონ გოგიაშილი 1901 -1906 წლეებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, შემეგ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. როგორც სპეციალისტები გადმოგვცემენ ამ პერიოდში შესამჩნევი გახდა მხატვრის პროფესიული და იდეური სიმწიფე, ახალგაზრდა მხატვარი პოლიტიკური მრწამსით „მესამე დასის" რევოლუციურ უმცირესობას უახლოვდება.

ანტონ გოგიაშვილმა მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა (გარდაიცვალა 29 წლის ასაკში) მშობლიურ გურიას ასამდე ნამუშევარი მიუძღვნა. მათ შორის ქალაქ ოზურგეთის ხედები, ძველი გურიის სურათები, საყურადღებოა მისი ორი ფერწერული ტილო „დარბევა", „გურულები რომლებიც ტყეს შეფარებიან".

გურიის ყოფა-ცხოვრების ამსახველ სურათებში იგრძნობა მხატვრის დიდი სიყვარული მშობლიური გურიისადმი.მუზეუმის ფოტო-ფონდში დაცული ფოტორეპროდუქციებიდან ყურადღებას იპყრობს ერთი ფოტო რომელსაც აქვს წარწერა „დავით აღმაშენებლის ბეჭედი". ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია ამ ფოტოს ისტორია.ვფიქრობთ მუზეუმში 26 მაისისათვის მოვაწყოთ ანტონ გოგიაშვილის ფოტო-გამოფენა „ძველი გურიის სურათები"სადაც დამთვარიელებელს შესაძლებლობა ექნება იმოგზავროს „ერთი საუკუნის" წინანდელ გურიაში.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის
ფონდების მცველი



„ტყე გაუშენე შვილებსა.."

საქართველოს უგვირგვინო მეფე, წმიდა ილია მართალი ერს ასე მოძღვრავდა: „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია"-ო. ჩვენმა თაობამ ვერ მოახერხა ეს. გავაჩანაგეთ, გავყიდეთ, უკანონო ჭრებით გავანადგურეთ და სანაცვლოდ მივიღეთ მეწყერები, წყაროთა დაშრობა, ჟანგბადის უკმარისობა. მინდა შეგახსენოთ, რომ ჟანგბადის –60 პროცენტს ბიოსფეროში გამოყოფს ხმელეთის მცენარეულობა.

ერთი ჰექტარი ტყე შთანთქავს წელიწადში ატმოსფეროდან 13-17 ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 10-15 ტონა ჟანგბადს.

დიდი ილიას შთაგონება დღეს ასე აღითქმება: „ტყე გაუშენე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია".

უღრმესად გთხოვთ გურიის პენსიონერთა 26 ათასიანო, სიბრძნით დახუნძლულო ადამიანებო, შევუერთდეთ აქციას და თითო ძირი მარადმწვანე ნერგი გააშენეთ, შვილთაშვილებისთვის და ამით ვალი მოვიხადოთ მათ წინაშე.

მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში (ანალოგიურია მთელს გურიაში) გაშენებულია ჭადრის ხეები, რომლებიც მაღალტანიანნი არიან და საშიშროებას უქმნიან ინფრასტრუქტურას, რამეთუ მათ არა აქვთ ღერძულა ფესვები. მათი ფესვთა სისტემა ჰორიზონტალურადაა განლაგებული, მცირეც ქარის შემთხვევაშიც კი შეფოთლილი ხე ძირფესვიანად ითხრება და აფუჭებს ტროტუარის დიდ ნაწილს.

საჭიროა თანდათან მოხდეს ჭადრის ხეების შეცვლა მარადმწვანე მცენარეებით, რომლებიც ზამთარშიც კი ჟანგბადით გვამარაგებს. ასეთებია ბზა, წყავი, ნაძვი, ფიჭვი, შიგდაშიგ ნაყოფის მომცემი ნიგოზი, წაბლი, ბალი, ვაშლი და სხვა.

ჩვენი ვალია შევიტანოთ უფლით მონიჭებული წვლილი ჩვენი ქვეყნის წალკოტად ქცევაში, გონიერებით, სიკეთით, იმედიანად ცხოვრებისა ამა წუთისოფელში.

გურამ ცერცვაძე,
გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

იური ხომერიკის ხსოვნის ტურნირი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლისა და სოფ. შრომის თემის რწმუნებულის აპარატის ინიციატივით, სოფ შრომაში ჩატარდა სპორტის დამსახურებული მუშაკის, ყოფილი სსრკ-ს მეორე პრიზორის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის იური (ომარი) ხომერიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდნენ ფოთის, ბათუმის, ლანჩხუთის, ოზურგეთის გუნდები. მონაწილეთა რაოდენობა 100-მდე იყო.

20, 47 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ ნიკოლოზ აბაშიძე, კახა ფუტკარაძე(სოფ. შრომა, მწვ. გურამ აბაშიძე); 23, 35, 59 კგ. წონით კატეგორიაში ვანო ეფრიკიანი, ანზორ ხურციძე, ლუკა ზაქარიაძე („ლიხაურის ფილიალი,"მწვ. ალ. ბოლქვაძე); 26, 29 კგ. წონით კატეგორიაში საბა ცისკარიძე, გიორგი თოხაძე (ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები); 32, 73 კგ. წონით კატეგორიაში ნიკა ბროლაძე, რომა ახალაძე (ბათუმი, მწვ. გელა ჩხაიძე); 38, 53 კგ. წონით კატეგორიაში გია კუჭავა, გოგა ხარაიშვილი (ფოთი, მწვ. გია კუჭავა); 42 კგ. გიორგი შოთაძე (ლანჩხუთი, მწვ. ზაზა ღლონტი); 66 კგ. ომარ სირაძე (სოფ. თხინვალი, მწვ. თენგიზ ლაბაძე).

იური ხომერიკის პრიზი შრომელ კახა ფუტკარაძეს გადეცა, ხოლო ვანო ეფრიკიანს –ტექნიკური მოჭიდავის პრიზი.

ჩემპიონები და პრიზიორები ოზურგეთის სასპორტო სკოლამ დააჯილდოვა შესაბამისი დიპლომებითა და მედლებით.

ვუოცავთ!

ძვირფას კოლეგას, პროფესიონალ, კეთილ და თანამდგომ მასწავლებელს და მეგობარს, მოსიყვარულე და თავდადებულ მამიდას თინა მემარნიშვილს, ვულოცავთ დამადების დღეს.

ჩვენო საყვარელო თინიკო, იყავი მედნიერი, ჯანმრთელი, იხარე შენი ვაჟკაცებით. წარმატებები იყოს შენი ცხოვრების თანამდევი.

ღმერთმა გადღეგრძელოს.

ცხემლისხიდის საჯარო სკოლის პედაგოგები;
სამთა ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

„არწივები" II ლიგაში ასპარეზობენ

თუ რა სიტუაციაა ოზურგეთის „არწივებში," კლუბის პრეზიდენტი **ზვიად უნგიაძე** გვიყვება:

– ამ ჩემპიონატში „აწივებმა" ურიგოდ როდი ასპარეზეს. მათ I ეტაპზე დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატში ქუთაისის „ბაგრატის"გარდა ყველა კლუბი დაჯაბნეს. შემდეგ იყო ხშირი ტრავმები, მორაგბეთა მიგრაცია უფრო მაღალანაზღაურებად კლუბებში და II ტურში გუნდი საბოლოოდ IV ადგილზე გამოვიდა.

შუა სეზონი იყო,რაგბის კავშირმა რ გვაცნობა, რომ II ლიგა ყალიბდებოდა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატებში მე-4, მე- 5 ადგილებზე გასული გუნდები დაწყვილდებოდნენ და პლეი ოფში გაარკვევდნენ 2 გამარჯვებულს.

თბილისში სთუ-სთან 8:5, ასევე „ხულიგანასთანაც"ვიგებდით, მაგრამ მთავარმა მოთამაშეებმა ტრავმა მიიღეს და წავაგეთ.

სახლში ორთავე შეხვედრა უნდა მოგვეგო, რომ I ლიგაში დავრჩენილიყავით. სთუ-სთან შეხვედრაში 75-ე წუთზე 5:5 იყო, მაგრამ გაგვიცუდდა რეალიზაცია და 4 საჯარიმო დარტყმა. საბოლოოდ ბოლო წუთებში დავთმეთ ანგარიში.

27 აპრილს თითქმის ტაიმნახევარი 24: 5 ვუგებდით, მაგრამ საბოლოო გამარჯვება 24: 22 დაფიქსირდა. ეს გამარჯვება არ დარჩა საკმარისი და გადმოვდით II ლიგაში.

–რა ამოცანებს სახავთ ახალ სეზონში?

–გუნდი აუცილებლად გადავა I ლიგაში, მთავარია ფინანსური მხარდაჭერა. ის კი არა, ჩვენ სურვილი გვაქვს უმაღლეს ლიგაში ვიასპარეზოთ. იმედი გვაქვს 3-4 წელიწადში ოზურგეთში ისეთი მორაგბეები გაიზრდებია, მწვერვალების დაპყრობას შეძლებენ.

–თქვენ ბავშვთა რაგბი ახსენეთ:

–2001-2003 წლებში დაბადებულმა მორაგბეებმა ქ. სენაკში მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს ფესტივალში და დაამარცხეს ბათუმის, სენაკის, წყალტუბოს, საჩხერის გუნდები და სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

ჩვენთან კლუბში 130 ბავშვი ირიცხება და ვგეგმავთ კონტიგენტი 200-მდე გავზარდოთ. გუნდს პატარ-პატარ სარაგბო მოედნები აქვთ დაბა ნარუჯაში, სოფ. დვაბზუში, ცხემლისხიდში, მერიაში. ვგეგმავთ ახალი მოედნის გახსნას სოფ. ნატანებში.

ჩვენი „ბ"ლიგის მორაგბეები მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატში და შედეგიც აქვთ.

მთავარია ახალი მორაგბეების აღზრდა. რამდენიმე წელში ოზურგეთის „არწივები"ერთ-ერთი მოწინავე გუნდი იქნება საქართველოს ჩემპიონატში.

ჩვენთვის დაუვიწყარ ზაზას!

ძნელია წარსულში ისაუბრო ისეთ ადამიანზე, როგორიც ზაზა სალუქვაძე იყო, უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე, კეთილი და საკუთარ ოჯახზე და სამსახურზე უზომოდ შეყვარებული. ძალიან გვიჭირს უშენობა ზაზა, წუთი არ არის შენი სახელი რომ არ ვახსენოთ თითოეულმა ჩვენგანმა და არ მოგიგონოთ თვალცრემლიანმა. თუ არა ის საშინელი სენი, სხვა ვერაფერი მოგერეოდა ამ მართლაც მთასავით ძლიერ კაცს. ნახევარი საუკუნეც კი არ დაგცალდა ამ ქვეყანაზე, მხოლოდ 45 წელი იცოცხლე მაგრამ იმდენი კარგი საქმე გააკეთე, არამარტო შენი უახლოესი ადამიანები, არამედ სხვებიც, ვისთანაც თუნდაც ერთხელ გქონია ურთიერთობა სიყვარულით და ცრემლით გიხსენებენ. დარწმუნებული ვართ შენი კეთილი თვისებები შენს შთამომავლობაში გაგრძელდება და ამით იქნება შენი სახელი დაუვიწყარი. ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ მოგიგონოთ, შენს საფლავზე სანთელი დავანთოთ და ვილოცოთ შენი ლამაზი სულისათვის.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მსუბუქი იყოს შენზე დაყრილი მიწა.

ამინ!

სს „საქართველოს ბანკის"
ოზურგეთის თანამშრომლები

გაზეთ „ალიონის" რედაქცია იუწყება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის განყოფილების უფროსის **ლია ქათამაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru
კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე